




# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

თბილისი, 2023


- 2023 წლის მაისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 7.0 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 5 თვის საშუალო ზრდა 7.5 პროცენტზე დაფიქსირდა
- ივნისში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.6 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 4.1 პროცენტს
- მაისში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 3.5 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 1.4 პროცენტით, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 0.3 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 656 მლნ აშშ დოლარს
- მაისის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 16.0 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.2 პროცენტით გაუფასურდა წინა თვესთან
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტზე დატოვა

# მაისში ეკონომიკურმა ზრდამ 7.0 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2023 წლის I კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.7 პროცენტია. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ მაისში წინა თვესთან შედარებით 1.2 პროცენტი შეადგინა.
- 2023 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების დარგებში.

ეკონომიკური ზრდა 2023-2019




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# 2023 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 7.7 პროცენტით




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკა 7.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეოთხე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.7 პროცენტით. 2023 წლის პირველი კვარტლის ზრდა 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 23.1 პროცენტთან ზრდას გულისხმობს.
- 2023 წლის პირველ კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 44.2% (2.2 პ.პ.)
  - შინამეურნეობების, როგორც დაქირავებულის, საქმიანობები: 38.0% წ/წ (0.05 პ.პ.)
  - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 32.9% (0.4 პ.პ.)
  - განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: 15.7% (0.5 პ.პ.)
  - მშენებლობა: 15.1% (0.7 პ.პ.)
  - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 14.0% (1.6 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - სამთომოპოვებითი მრეწველობა: -10.8 (-0.2 პ.პ.)
  - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -12.7% (-0.7 პ.პ.)




წყარო: საქსტატი

# ივნისის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.6 პროცენტი


## მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




## საბაზო ინფლაცია



## ინფლაციის დეკომპოზიცია




## ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 0.3 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- მისში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 3.5 პროცენტით და გაუტოლდა 541 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 37.0 პროცენტით და გაუტოლდა 245 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 1.4 პროცენტით და გაუტოლდა 1 197 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 0.3 პროცენტით და გაუტოლდა 656 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 31.1 პროცენტი (122.0 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა უარყოფითი 26.5 პროცენტის წვლილი (-64.2 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 4.0, 4.2 და -6.8 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, მაისი



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, მაისი



ექსპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 200 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 37.0 პროცენტი.
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 57.9 მლნ აშშ დოლარი - 10.7 პროცენტი.
- ყურძნის ნატურალური ღვინოები: 24.9 მლნ. აშშ დოლარი - 4.6 პროცენტი.

იმპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 162.7 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 13.6 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 81.7 მლნ აშშ დოლარით - 5.1 პროცენტი.
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 60.7 მლნ აშშ დოლარით - 5.1 პროცენტი.

ექსპორტის ტოპ ქვეყნები:

- სომხეთი: 79.3 მლნ. აშშ დოლარი, 14.6 პროცენტი.
- აზერბაიჯანი: 74.6 მლნ. აშშ დოლარი - 13.8 პროცენტი.
- ყირგიზეთი: 66.6 მლნ. აშშ დოლარი - 12.3 პროცენტი.


იმპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირის ქვეყნები: 295.1 მლნ. აშშ დოლარი - 33.6 პროცენტი.
- თურქეთი: 231.0 მლნ. აშშ დოლარი - 26.3 პროცენტი.
- რუსეთი: 156.0 მლნ. აშშ დოლარი - 17.7 პროცენტი.



# 2023 წლის მაისში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 25.8 პროცენტური კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, მაისი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
რუსეთი	151.1	-51.4	-33.6
იტალია	43,2	19.6	1.5
აშშ	38.8	38.0	2.1
საბერძნეთი	19.6	4.3	0.2
ყაზახეთი	18.9	-4.5	-0.2
გერმანია	118.8	50.2	1.3
სხვა	65.5	26.2	2.7

2023 წლის მაისში წმინდა ფულადი გზავნილებმა შეადგინა 354.0 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25.8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 62.2 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - გერმანია: 50.3 პროცენტი (1.3 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - აშშ: 38.0 პროცენტი (2.1 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - იტალია: 19.6 პროცენტი (1.5 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - ისრაელი: 11.5 პროცენტი (0.4 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - რუსეთი: -51.4 პროცენტი (-33.6 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყაზახეთი: - 4.5 (-0.2 პ.პ. მილიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ




# ივნისში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 16 პროცენტით გაიყარდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	30 ივნისი, 2023		30 ივნ 2023 - 1 იან 2023		30 ივნ 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.8591	▲	0.9%	▲	22.4%
აშშ დოლარი	2.6177	▲	3.2%	▲	18.0%
თურქული ლირა	0.1004	▲	43.7%	▲	403.4%
რუსული რუბლი	0.0301	▲	22.2%	▲	27.6%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	185.90	▲	13.0%	▲	41.8%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მაისი 2023)	152.01	▲	4.7%	▲	20.3%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

# ივნისში საგადასახადო შემოსავლები 5.9 პროცენტით ჩამორჩება პრობნოსს


### ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, ივნისი 2023




### ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



### გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



### ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2023 წლის ივნისში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,686 მლნ ლარი, რაც 5.9 პროცენტით ჩამორჩება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2023 წლის მაისში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 3.4 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 13.9 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 187.0 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -195.3 მლნ ლარით.


2023 წლის მაისში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა 7.2 და 5.4 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

# ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ ცვლილება განიცადა


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 ივნისი)




- 2023 წლის ივნისში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 235.75 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.6% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5 და 7 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 40 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2023 წლის 30 ივნისისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის დაახლოებით 37% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 29%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (მაისი 1.68) შედარებით გაიზარდა და 2.08 შეადგინა.

# ლარიზაციის ზოგიერთმა მაჩვენებელმა ზრდა შეწყვიტა


სესხების ლარიზაცია

5/31/2023




დეპოზიტების ლარიზაცია


31.05.2023



5/31/2023



31.05.2023




- 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.3 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 70.6 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.5 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 47.8 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 73.5 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 31.4 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 56.1 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 46.1 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 39.3 პროცენტს შეადგენს.


წყარო: სეზ

# სესხების წლიური ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება


სესხების წლიური ზრდა, %



სესხების წლიური ზრდა, %



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ




- 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.6 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 15.3 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 17.6 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 15.2 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 18.4 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 15.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 23.7, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 8.3 პროცენტით გაიზარდა.




დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.05.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.05.2023



დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.05.2023




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 31 მაისის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 34.4 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 42.7 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 27.5 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 36.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 40 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის მაისის დასაწყისში შეადგინა 31 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 24.7 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 52.6 პროცენტი.




# საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტზე დატოვა

## ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



## სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



■ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 21 ივნისს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 10.5 პროცენტზე დატოვა.


■ სებ-ს მიხედვით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია და პანდემიისგან წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. თუმცა ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობპროდუქტების ფასებმა დაიკლო. ამავდროულად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც უნდა აისახოს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიმდინარე წლის ივლისში ფაქტობრივმა ინფლაციამ 0.6 პროცენტი შეადგინა და სამიზნე ინფლაციას ჩამოცდა. მას კვლავ შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ, გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.

■ მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2023 წლის 2 აგვისტოს ჩატარდება.



■ 2023 წლის ივნისში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით განახორციელა და გაყიდა 17.1 მლნ აშშ დოლარი.

წყარო: სებ

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.1 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11.1 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.3 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.2 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის მაისის ბოლოს 14.1 პროცენტს შეადგენდა, უცხოური ვალუტით კი 9.1 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.4 პროცენტი შეადგინა, უცხოურ ვალუტაში კი 6.6 პროცენტი.

# საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: [info@mof.ge](mailto:info@mof.ge); [www.mof.ge](http://www.mof.ge)



საქართველოს ფინანსთა  
სამინისტრო